მ ა მ უ კ ა მ ა ღ უ ლ ა რ ი ა

ამომავალი მზის სახლი

ერთმოქმედებიანი პიესა 10 *სცენად*

მოქმედი პირნი:

მაიკი — ოციოდე წლის სტაჟორი საქართველოდან

დენი და **მერი** — ოთხმოცს მიტანებული ამერიკელი ცილ-ქმარი

მოქმედების დრო და ადგილი: 20 საუკუნის მიწურულის ამერიკა

სპექტაკლში ჟღერს ამერიკული ხალხური მელოდია "ამომავალი მზის სახლი"

1 სცენა

სცენა წარმოადგენს ვიქტორიანული სახლის მისაღებ ოთახს. ოთახის შუაგულში დგას მაიკი, სამგზავრო ჩანთით და იქაურობას ათვალიერებს. შემოდის დენი

დენი: ესეც ასე, მანქანა გავაჩერე, მერი ვახშამს ამზადებს. რაღას უდგახარ, მოშინაურდი - მამუკა, არა?

მაიკი: დიახ.

დენი: მამუკა, მამუკა, ინდიელების სახელივით ჟღერს... ჰო, იმას ვამბობდი, რაღას უდგახარ, გაიხადე და ჩამოჯექი

მაიკი: გმადლობთ!

დენი: დაღლილი იქნები. რამდენ ხანს მოფრინავდი?

მაიკი: 11 საათი

დენი: წარმოუდგენელია

მაიკი: ჰო დაუჯერებელია, რომ უკვე ამერიკაში ვარ

დენი: ჰოდა კეთილი იყოს შენი ფეხი ამ მიწაზე

მაიკი: გმადლობთ!

დენი: სტაჟირებას როდის იწყებ ?

მაიკი: ორშაბათიდან

დენი: ჰო სანამ აქ იცხოვრებ, ჩვენი "შვილი" უნდა იყო

მაიკი: იმედია გავამართლებ თქვენს ნდობას

დენი: ჰო, აი კიდევ რა: წინააღმდეგი თუ არ იქნები "მაიკს" დაგიძახებთ, ჩვენთვის ასე უფრო მოსახერხებელი იქნება

მაიკი: რათქმაუნდა დენ, რათქმაუნდა

დენი: ძალიან კარგი !

მაიკი: თქვენ შვილები არ გყავთ ?

დენი: კი, როგორ არა ! უკვე დიდები არიან, ზოგი ჩიკაგოში ცხოვრობს, ზოგიც სიეტლში

მაიკი: მერე არ გენატრებიან ?

დენი: ჩვენ - კი...

შემოდის მერი

მერი: აი ვახშამიც მზადაა

მაიკი: მადლობა, მერი !

მერი: თავი ისე იგრძენი როგორც, საკუთარ სახლში. შენი ოთახია იქაა, აქ კი აბაზანა. აი, ტელევიზორი, ტელეფონი - დარეკე როცა და რამდენიც გენებოს, ნუ მოგერიდება.

დენი: ჰო, კარგი კარგი, წავიდეთ. აბა, მაიკ მოწესრიგდი და ვახშამზე გელოდებით...

დენი და მერი გადიან

2 სცენა

ისმის წვიმის ხმა. მაიკი სახლში რეკავს

მაიკი:

— ალო, ალო დე, ჰო მე ვარ. როგორ ხართ?

— მეც კარგად, კარგად! ოოო ვჭამ, აბა რას ვშვები...

— მანდ რომელი საათია?

— აქ ყველაფერი ისეთი ლამაზია - თავი სიზმარში მგონია. ჰო სახლიც ისეთი არაჩვეულებრივია, ძველებური - როგორც კინოში...

— ვინ? ესენი? კი კი, ძალიან კარგი ხალხია. გახსოვს, ბავშვობაში რომ ვიძახდი ბებია-ბაბუა რატომ არ მყავს მეთქი? ჰოდა ახლა ისე მგონია, თითქოს ესენია ეგ ხალხი...

— მამა როგორაა?

— ჰო დაუძახე, აბა რა უნდა ქნა

— ვა, მამა, როგორ ხარ?

— მე კარგად, კარგად!

— კი კი, ძალიან კარგი ხალხია!

— უი, სხვათაშორის შენსავით ორივე ცაციაა

— ნეტავ 90-იანების მაგივრად, 60-იან წლებში მოვმხვდარიყავი აქ... წარმომიდგენია რა ხდებოდა ვუდსტოკის ფესტივალზე... ეჰ, სადღა არიან ახლა ის "არხეინად მოჯირითეები"... ნეტა იმ დღეების მომსწრე მაინც მანახა ვინმე...

— ჰო, მართალია. მისმინე მამა, პარასკევობით სტიპენდიაა და გამოგიგზავნით ხოლმე

— ოოო, კარგი რა, მე ისედაც ყველაფერი უფასო მაქვს

— ჰო, კიდევ იცი რა. დედას ჯერ ნუ ეტყვი... არ ვიცი, შევხედავ... ბოლოს და ბოლოს ვახოც ხომ დარჩა, გოგიც... ამის ხელიდან გაშვება შეიძლება? ყველასთვის ასე არ აჯობებს? მოვრჩები ამ სტაჟირებას და ვნახოთ. აქ ავეწყობი და მანდაც ყველას დავეხმარები. არა მგონია ამერიკა ძალიან შევაწუხო. ისე არც საქართველო დაკარგავს ბევრს...

— ჰო, კარგი. თავს გაუფრთხილდით! კიდევ დაგირეკავთ...

3 სცენა

მერი ოთახში მარტოა და აუთოვებს. შემოდის დენი

დენი: როგორ ხარ მერი?

მერი: კარგად დენ

დენი: ბავშვებს არ დაურეკავთ?

მერი: ო, არა

დენი: მადლობა ღმერთს, ახლა მაიკი მაინც გვყავს...

მერი: ჰო, მაგრამ როდემდე...

დენი: ახლა სადაა?

მერი: სტაჟირებაზეა, თავის კოლეჯში

დენი: იცი მერი, გუშინ გამომიტყდა, რომ აქ დარჩენას ფიქრობს

მერი: სად აქ?

დენი: რა მოგდის, ემიგრაციაზე გელაპარაკები

მერი: ნუთუ მათთან ყველაფერი ასე ცუდადაა

დენი: შენ რა მერი, ტელევიზორს არ უყურებ?

მერი: ისე მართლა რა კარგი ბიჭია არა, დენ?

დენი: ჰო, რაც მართალია მართალია... ეჰ, ნეტავ...

მერი: გთხოვ დენ, ახლა ისევ ნუ დაიწყებ

დენი: ჰო, აბა რა აზრი აქვს...

მერი: იცი რა დენ, მემგონი უნდა დავეხმაროთ...

დენი: რათქმაუნდა! შენ ნუ იდარდებ, ამაზე მე ვიზრუნებ - როგორც ნამდვილი ინდიელი !

მერი: ნახევრად დენ, ნახევრად ინდიელი

დენი: ამას რა მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენი მიწაა!

მერი: კარგი ბატონო

დენი: წინაპართაგან მსმენია, რომ ჩვენ მოვედით იქ სადაც საღამოობით მზე მინდვრებში იძინებს, რომლებზეც ბიზონები ბალახობენ და დიდი მდინარისაკენ ილტვიან. ჩვენ ვიბრძოლეთ, ვიდრე ეს მიწა სისხლისგან წითელი არ გახდა და გავიმარჯვეთ და ჩვენ ვთქვით: ეს ჩვენი მიწაა! - დიდი მდინარიდან მოყოლებული, მარილიან ტბამდე...

მერი: ჰო, კარგი დენ

დენი: ეჰ, ისე კი მაინც დასანანი იქნება...

მერი: რას გულისხმობ?

დენი: რას კი არა ვის და მაიკის მშობლებს...

შემოდის მაიკი

მერი: მაიკ, როგორ ხარ

დენი: აბა, როგორ მიდის შენი საქმეები

მაკი: კარგად, კარგად. მადლობა! თქვენ როგორ ხართ?

დენი: არა გვიშავს მაიკ, არაგვიშავს

მაკი: იცით, მთელს კოლეჯში ერთადერთი ქართველი აღმოვჩნდი. ჰო მართლა, ერთი წამით...

გადის და ორი წიგნი შემოაქვს. ერთს დენს გადასცემს, მეორეს - მერის

მაკი: აი ეს, თქვენ

მერი: ოოო, ქართული სამზარეულო? დიდი მადლობა ჩემო კარგო. წავალ, დავათვალიერებ...

მერი გადის

დენი: საქართველო... ოოო, დიდი მადლობა !

მაკი: არაფრის დენ. მეც წავალ, ცოტას დავისვენებ...

დენი: რათქმაუნდა, მაიკ

მაიკიც გადის

4 სცენა

დენი მარტო რჩება, ალბომს გადაშლის და კითხულობს

დენი: საქართველო — სახელმწიფო შავი ზღვის სანაპიროზე. ტრანსკონტინენტური ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე. ტერიტორია ქვის ხანიდან იყო დასახლებული. ანტიკურ დროში აქ ადრეული ქართული სახელმწიფო გაჩნდა, რამაც დასაბამი მისცა საერთო ქართულ კულტურას. ქრისტიანობა მე-4-ე საუკუნიდან გაბატონდა. საქართველომ აღორძინებისა და დაცემის რამდენიმე პერიოდი განვლო. მკვიდრი მოსახლეობა, უძველესი წარმოშობისაა. სამეტყველო და სამწერლო ენაა ქართული. ჰეროდეოტეს ცნობით, ქართველები ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. იოსებ ფლავიუსი კი მათ ბიბლიაში მოხსენიებულ - თუბელების შთამომავლებად მიიჩნევს.

ფონზე ჟღერს "წინწყარო"

„ქართველების ტომი უმშვენიერესია მთელს აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა, რომ მთელს ქვეყანაზედაც. აქ არ მინახავს არცერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუჯილდოვებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ აქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ."

ჟან შარდენი

„საქართველოს უმთავრესი მიმზიდველი ძალა არის ქართველების ღირსება! ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი მართლა საყვარელი რამ ხალხია... ვისაც უნდა გულიდან გადაიყაროს ჯავრი, დაღვრემილება, მელანქოლია და მიზანთროპია, იმაზე უკეთეს წამალს ვერ იშოვნის, რომ წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულგახსნილ, ხელ-გაშლილ, პატიოსან და გულუბრყვილო ხალხს შორის! ქართველი კაცი ისე თავაზიანად და ისეთი სიყვარულით ეკიდება თავის სტუმარს, რომ ევროპელს არც კი დაესიზმრება."

ჯონ უორდროპი

”ევროპაში წარმოდგენაც არ აქვთ კოლხეთის ხალხთა სილამაზეზე. განსაკუთრებით ლამაზი ტანადობა და სიარული აქვთ მამაკაცებს. სულ უბრალო მსახურსაც კი თავადიშვილის იერი აქვს… ქართველ ხალხს ისევე უყვარს გაჩუქება, როგორ სხვა ხალხებს საჩუქრების მიღება…”

ალექსანდრე დიუმა

„ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი. ცდილობენ შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ... საერთოდ წყნარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან; მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება.“

პიეტრო დე ლა ვალე

5 სცენა

მაიკი ოთახში მარტოა და კედელზე დაკიდებულ სურათს ათვალიერებს.

შემოდის მერი და შეუმჩნევლად უახლოვდება

მერი: ჰო მაიკ, არ გეჩვენება, ნამდვილად ისაა

მაიკი: აჰ, მერი!? არ გელოდით. ვინ ის ?

მერი: დენი - ახალგაზრდობაში

მაიკი: როგორ!? განა ის ჰიპი იყო ?

მერი: რატომ ”იყო” ?

მაიკი: რავიცი... უცებ ვერ წარმოვიდგინე

მერი: ოჰ, მე ტყუილად მიყურებ, მაიკ. დიდი ხანია მაგ ასაკიდან გამოვედი

მაიკი: ...და 69-ში ვუდსტოკის ფესტივალზეც იყავით ?

მერი: ჯანდაბას ვუდსტოკიცა და ჯიმი ჰენდრიქსიც

მაიკი: ჯიმი ჰენდრიქსი ?

მერი: შენც მაიკ ? კარგი, რა...

მაიკი: კარგი, კარიგი მერი. ერთი ეს მითხარით - ჩემთან ხომ არავის დაურეკავს?

მერი: არა. მაიკ, ხომ შევთანხმდით - დარეკე სახლში როცა და რამდენიც გენებოს

მაიკი: არა, სახლი არ მიგულისხმია...

მერი: არა? მოიცა მოიცა, ნუთუ ეს ისაა რასაც მე ვფიქრობ ?

მაიკი: ჰო, რავიცი, როგორ გითხრათ...

მერი: ისე უნდა მითხრა როგორცაა და არაფერი დამიმალო

მაიკი: ჰო, გამოიცანით...

მერი: მაიკ, ეს ხომ მშვენიერი, არაჩვეულებრი ამბავია! დიცა...

მერი ჩაის ისხამს და მაიკსაც აწვდის

მერი: მოდი აქ მოვკალათდეთ. აბა რა ჰქვია? ალბათ ძალიან ლამაზია. სად ცხოვრობს? სად გაიცანი? ყველაფერი მომიყევი, გისმენ

მაიკი: თვითმფრინავში... ბორტგამცილებელია... ლტოლვილია ჩეხეთიდან. ხუთი წლის უკან, იქ ხომ რევოლუცია მოხდა და ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო. მეამბოხეებმა კომუნისტური ხელისუფლება დაამხეს და დემოკრატიული მთავრობა ჩამოაყალიბეს. ხუთი წელია თქვენს ქალაქში ცხოვრობს მათი ოჯახი. უკვე ამერიკული მოქალაქეობაც აქვთ.

მერი: ღმერთო, რა ხდება... ვინ მოაწყო ასე საშინლად ეს ცხოვრება... ვისი ბრალია, ვინ არის ამ ყველაფრის ავტორი... მერე მაიკ , მერე?

მაიკი: თვითმფრინავში პირველ რიგში ვიჯექი. ავფრინდით თუ არა, ფარდა გაიხსნა და ფერიასავით გაჩნდა ჩემს წინ. თავი თვითმფრინავში კი არა თეატრში მეგონა. მსგავსი სილამაზე არასდრო მინახავს. არა, ამის გადმოცემა სიტყვებით არ შემიძლია...

მერი: ღმერთო, რა ბედნიერებაა მაიკ !

მაიკი: წარმოიდგინეთ მერი - თვითონ გამომელაპარაკა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სულ დავმუნჯდი, ის კი მეკითხება - ცუდად ხომ არ ხართო და სასწრაფოდ წყალი მომირბენინა. ცოტა სული რომ მოვითქვი, მეც გამოველაპარაკე და აღმოჩნდა, რომ თურმე ჩეხი ვეგონე...

მერი: საბრალო, საბრალო გოგონა... კი მაგრამ, შენ თვითონ ტარომ არ დაურეკავ?

მაიკი: ნომერი არ მაქვს. ბევრს დაფრინავს და რა ზრი აქვს, არ მინდა მშობლები ტყუილად გავაღიზიანოო. მე თვითონ დაგირეკავო.

მერი: გამოდის, პურიტანები ყოფილან. ოოო, ეს კარგია ! და ჩვენი ნომერი უკვე იცოდი?

მაიკი: თქვენი ნომერი, ჯერ კიდევ საქართველოში მოგვცეს - საელჩოში. მასპინძელი ოჯახებიც ხომ ჩვენი ინტერესების მიხედვით შეარჩიეს.

მერი: ააა, გასაგებია. მერე მაიკ

მაიკი: მერე, არაფერი. ის მართლაც ულამაზესია. სადღაც აქ ცხოვრობს, მონასტრის ახლოს. შემპირდა რომ, ქალაქს დამათვალიერებინებს. ჩემი ხნისაა. ყავს მშობლები და უმცროსი ტყუპი და-ძმა. ირმა ჰქვია...

სცენა 6

დენი მარტო უზის მაგიდას გაზეთით.

შემოდის მაიკი

დენი: აბა, როგორ ხარ მაიკ

მაიკი: მადლობა დენ ! შენ როგორ ხარ ?

დენი: არამიშავს მაიკ. ლუდი აიღე და შემომიერთდი

მაიკი ლუდს ხსნის და ჩამოჯდება

მაიკი: მითხარი დენ, რატომ მაინცა და მაინც მე ამომარჩიეთ.

დენი: შენს ანკეტაში ამოვიკითხეთ, რომ ამერიკული მუსიკა გიყვარს, და...

მაიკი: მართლა ჰიპები იყავით? და ვუდსტოკის ფესტივალზეც ნამყოფები ხართ ?

დენი: ჰო მაგრამ, მარტო მე, მერი არა და მხოლოდ ბოლო დღეს მივუსწარი

მაიკი: ესე იგი, მხოლოდ ჯიმი ჰენდრიქსის გამოსვლა ნახე?

დენი: ჰო, რას იზამ. მეც და მერისაც - ორივეს საპატიო მიზეზი გვქონდა...

მაიკი: მაინც რა მოხდა?

დენი: ო, ეს გრძელი ისტორიაა, მაიკ... თუმცა, რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მაინც ასე ჯობდა...

მაიკი: რას გულისხმობ, დენ ?

დენი: ჰენდრიქსი იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ...

მაიკი: წარმომიდგენია...

დენი: აგერ უკვე რამდენი წელი გავიდა და განა შეძლო ვინმემ მასთან მიახლოვება?

მაიკი: მგონი მერის მაინცა და მაინც არ უნდა უყვარდეს ის...

დენი: იყო დრო, ისიც ჩემსავით აღმერთებდა მას მაგრამ, ეტყობა იმ დღეს ქალურმა ეჭვიანობამ გაიმარჯვა

მაიკი: რომელ დღეს ?

დენი: 1969 წლის 18 აგვისტოს - იმ დღეს, ჯიმი რომ ვუდსტოკზე გამოვიდა, ჩვენი შვილი რომ გაჩნდა და ციხიდან რომ გამომიშვეს

მაიკი: ნუთუ, სამშობიაროს ნაცვლად ფესტივალზე წახვედი?

დენი: დიახ მაიკ, პირდაპირ ციხიდან !

მაიკი: თუ საიდუმლო არაა, დენ - ასეთი რა მოხდა ?

დენი: ეგ საიდუმლო აგერ იქ კედელზე კიდია...

მაიკი: ის ფოტო ?

დენი: ჰო, ციხეში ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო, იმ აქციის გამო მოვხვდი, შენ რომ მაგ სურათზე ნახე

მაიკი: დაუჯერებელია...

დენი: ჰო, ასეა. აბა, ძილი ნებისა მაიკ...

სცენა 7

ყველანი მაგიდასთან, სადილად სხდებიან და ლოცულობენ

დენი: აბა მაიკ, მიდი დღეს შენი ჯერია

მაიკი: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს სუფევა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ !

მერი: ამინ !

დენი: ამინ !

მაიკი: ეს რა არის ?

დენი: ოოო, ეს არის სურპრიზი !

მერი: შენი ნაჩუქარი რეცეპტების წიგნიდან მოვამზადე

მაიკი: დაუჯერებელია, დიდი მადლობა მერი !

დენი: აბა ერთი გავსინჯოთ...

მერი: როგორ გამოითქმის? ჩაქოქბი

მაიკი: ჰო, ზუსტად - ჩახოხბილი

დენი: ყოჩაღ მერი, მართლაც რა გემრიელია !

მერი: ჰო, მაგრამ ყველანაირი სანელებელი მაინც ვერ ვიშოვე

მაიკი: რას ამბობთ მერი ! მართლა ძალიან გემრიელია

მერი: მადლობა! კიდევ მიირთვით ჩემო კარგებო

დენი: ვერაფერი შეედრება სუფრასთან ერთად ტრაპეზს. ამის გარეშე ოჯახი არ არსებობს... ყველაფერი რაც შენს წინაშეა შენია, მხოლოდ დაელაპარაკე მას და ის მოგცემს სიბრძნეს, რომელიც შენ არ გეკუთვნის, რადგან ტირავა რომელიც ზეცაშია, სხვაგვარად არ ელაპარაკება ადამიანს. ის გვიგზავნის ყველაფერს და მხოლოდ ასე გვასწავლის...

მერი: დენ, დამისხი ძვირფასო

მაიკი: უფ, როგორ მომნატრებია !?

დენი: მოგნატრებია - ესე იგი გყვარებია

მაიკი: ჰო მყვარებია და ვერ ვხვდებოდი...

მერი: აი, სწორედ ესაა ნოსტალგია...

დენი: მადლობა სადილისათვის ! მე აქვე ბაღში ვიტრიალებ...

მაიკი: მე კი, ჭურჭლის დარეცხვაში მოგეხმარებით

მერი: ხვალ კი, ძველი ფირფიტების ბაზრობაზე წავიდეთ მაიკ

მაიკი: მართლა!?

მერი: ხვალ ხომ თვის ბოლო შაბათ-კვირაა. იქ აუცილებლად ვნახავთ საინტერესო ფირფიტებს

სცენა 8

დენი მარტოა ოთახში ტელევიზორთან.

შემოდის მაიკი, ფირფიტებით ხელში

დენი: რა ქენით მაიკ, იპოვეთ რამე საინტერესო?

მაიკი: აი დენ, გადახედე

დენი: აბა ერთი ვნახოთ...

დენი ფირფიტებს ათვალიერებს

დენი: ოჰო, ცუდი არაა: დილანი, დევისი, ჯოპლინი

მაიკი: ჰო დენ, წარმოიდგინე თითოში სულ რაღაც 1 დოლარი გადავიხადე !

დენი: ეს უნდა აღვნიშნოთ! მიდი მაიკ, ლუდი მაცივარშია

მაიკი: ჰო მაგრამ, იცი დენ, მთელი გზა მანქანაში ფირფიტებს ვათვალიერებდი და არაფერს ისეთს არ განვიცდიდი რასაც სახლში. ეს რას უნდა ნიშნავდეს? ერთ დროს აკრძალული ხილის ბრალია? აბა რა გამოდის: აუცილებდად იქ უნდა ვცხოვრობდე და თითოში მთელი ხელფასი გადავიხადო ? კი მაგრამ, სიყვარული? სიყვარულს რაღა მოუვიდა? ნეტავ ჩემი ფირფიტები რას შვებიან... ნელიმ ხომ არ გადმოყარა შემთხვევით...

დენი: ჰო, ეს მართლაც უცნაურია...

მაიკი: იქნებ არც ღირდა აქ ჩამოსვლა...

დენი: ასე რატომ ფიქრობ?

მაიკი: თან, მალე ჩემი სტაჟირებაც მთავრდება

დენი: მერე? რას ფიქრობ

მაიკი: არ ვიცი დენ... დარწმუნებული არ ვარ... მემგონი ვშტერდები...

დენი: ნურაფერზე იდარდებ მაიკ, ყველაფერი კარგად იქნება !

მაიკი: ჰო ალბათ. დენ, შენ მაინც არ მომიყევი, როგორი იყო ის დღე

დენი: რომელი დღე ?

მაიკი: ჰენდრიქსმა რომ დაუკრა ვუდსტოკზე

დენი: ეჰ, ჩემო კარგო, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია და მაინც, შენი ხათრით ვეცდები

თხრობასთან ერთად, სცენა ბნელდება. დენი მარტოდმარტო მდგომი აღმოჩნდება ცენტრში, ეთადერთი პროჟექტორით განათებული. ისმის გიტარის ხმა

დენი: ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩასაძირად განწირული გემსთვის დამეღწიოს თავი... ფესტივალამდე ავტოსტოპით ჩავაღწიე და იქ უბილეთოდ შევედი. იქაურობა, თითქოს ბრძოლის ველს გავდა... მალე, მზის პირველი სხივებიც ამოიწვერა. სცენაზე ჯიმი ჰენდრიქსი გამოვიდა და დაკვრა დაიწყო...

უზარმაზარი ბრბო გაოგნებული ჩანდა... ამას არავინ მოელოდა... ის ჩვენს ეროვნულ ჰიმნს ასრულებდა... ასრულებდა რაღაც აქამდე გაუგონრად... თითქოს უკუღმა თუ თავდაყირა... და მაინც ეს იყო ჰიმნი, მაგრამ არა ისეთი როგორიც თავიდან დაიწერა, არამედ თითქოს 1969 წლის მდგომარეობით არსებული – ნაომარი, სისხლისგან დაცლილი, ტყვიებით დაცხრილული, გაძარცვული და დამარცხებული...

ჟღერს "ამომავალი მზის სახლი"

ახლაც ნათლად განვიცდი იმ უცნაურ გრძნობას... თითქოს მან დანამდვილებით იცოდა ჩემი იქ ყოფნა, სადღაც ზღვა მაყურებელს შორის რომ ვიდექი... რათქმაუნდა ის ვერ მხედავდა, ისევე როგორც ვერ ხედავდა ალბათ ვერავის... იმ დღეს, ჯიმიმ ყველას ცალკე და მთელ ქვეყანას ერთად, ჩვენ ისტორია მოგვიყვა და ჭეშმარიტებისკენ შემოგვატრიალა... მისი გიტარის, ელექტროობით დამუხტულმა ხმამ, თვითეულ ჩვენგანში გაიარა... და მე, როგორც არასდროს ვიგრძენი, რომ მიყვარს მერი, მშობლები, რომლებთანაც დიდი ხანი არ მისაუბრია, ჩემი შვილი, რომელიც ჯერ არ მენახა და ბოლოს ეს ცოდვილი ქვეყანა, რომლის შუაგულშიც ახლა ჩარგულივით ვიდექი...

ამიტომაც არ ვნანობ, იმ დღეს მერისთან კი არა, იქ რომ წავედი... თითქოს ეს აბსურდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაშინ ჰენდრიქსისთვის რომ არ მომესმინა – ჩემი იმდროინდელი ცხოვრების წესის გამო, მერის

დავკარგავდი... ციხიდან გამოსული, რაღაც უხილავმა ძალამ წამიყვანა იქ... იქნებ ის მესიაც იყო... ის ხომ ნახევრად ინდიელი და თან ცაცია იყო... ინდიელები კი ცაციებს, ღვთის რჩეულებად თვლიან...

სცენა 9

დენი და მერი ყავას მიირთმევენ.

შემოდის მაიკი

მაიკი: დილა მშვიდობისა!

დენი: როგორ ხარ, მაიკ ?

მერი: როგორ გეძინა, მაიკ?

მაიკი: მთელი ღამე ვერ დავიძინე

მერი: რატომ, რა მოხდა?

მაიკი: არ ვიცი, გაურკვევლობაში ვარ. ზოგჯერ მგონია რომ, ჰოლივუდის რომელიღაც ფილმში მოვხვდი... თითქოს არც იქით ვარ - არც აქეთ...

დენი: ჰო, ეს ბუნებრივია, მაიკ

მაიკი: ჩემთან არავის დაურეკავს?

მერი: არა მაიკ, სამწუხაროდ

დენი: აუცილებლად დარეკავს მაიკ, ნუ გეშინია

მაიკი: იცით რა უნდა მეკითხა: თქვენ თვითონ ფირფიტები არასოდეს გქონიათ?

დენი: ფირფიტები რათქმაუნდა ყოველთვის გვქონდა, მაგრამ კოლექციონერი არასდროს ვყოფილვარ. მერე 80–იანებში სადღაც მიმოიფანტა. ახლა რადიოთიც კმაყოფილი ვართ... მუსიკა ხომ ისედაც, თავისთავად არსებობს, სადღაც... ფირფიტები კი დაიკარგა, მაგრამ მუსიკა დარჩა... ვინ იცის, იქნებ უნდა დაკარგო კიდეც, რომ თავიდან შეიძინო... არ

მახსოვს სად ამოვიკითხე – "ვინც დაეუფლება, მას დაკარგავსო...” თუ რაღაც ასეთი, გესმის ?

მაიკი: ჰო, მგონი მესმის...

მერი: ასე კი არა დენ, არამედ: "ფოტოებს იმისათვის იღებენ, ეს კადრები მეხსიერებიდან რომ წაშალონ”-ო.

დენი და მერი მზერას, კედელზე დაკიდებული სურათისკენ გააპარებენ.

დენი რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ მერი დაასწრებს

მერი: აბა დროებით ჩემო კარგებო, მე საყიდლებზე მივდივარ...

მერი გადის

დენი: აბა მაიკ, გადაწყვიტე?

მაიკი: არ ვიცი, დენ... ალბათ ბევრს გაუკვირდება ჩემი დაბრუნება და იქნებ ბევრმა დამცინოს კიდეც ზურგს უკან... ალბათ ვინანებ კიდეც, იქნებ ძალიანაც – სიცივესა და უშუქობაში, ნავთქურასთან ჩამომჯდარმა, მაგრამ მაინც... მე გავხედბი ბრბოს ნაწილი, თავშეკავებული, საქმიანი. საზოგადოებაშიც მიღებული ვიქნები. ახალ მეგობრებს შევიძენ, ალბათ შეყვარებულსაც... თავს ღიმილს ვაიძულებ, დავიცავ ყველა ეტიკეტს. იქნებ ახალი ინტერესებიც გამიჩნდეს, წარმატებებიც კი მაგრამ, უკვე ვეღარასოდეს შევძლებ ვიყო ისეთი როგორც აქამდე...

დენი: მისმინე მაიკ, თუ დარჩები, ამით ამერიკა მხოლოდ მოიგებს. რათქმაუნდა ჩვენი იმედი გქონდეს, ყველანაირად დაგეხმარებით... ეს მეც გამიხარდება... საემიგრაციო წვრილმანებზე ნუ იდარდებ, ამის უფლებას მე გაძლევ - როგორც ნახევრად ინდიელი... მაგრამ, თუ დაბრუნებას გადაწყვეტ, მგონი ეს პირველ რიგში შენთვის აჯობებს - სახლი ხომ მაინც ერთია ამ ცოდვილ დედამიწაზე...

სცენა 10

ისმის წვიმის ხმა. ცარიელ ოთახში რეკავს ტელეფონი.

შემოდის მერი

მერი:

— ალო, დიახ, გისმენთ...

— აჰ, არა, არა…

— თქვენ შეცდით ძვირფასო…

მერი ტელეფონს კიდებს და მაიკს გასძახებს

მერი: მაიკ, მე მზად ვარ და მანქანაში გელოდები

მერი გადის. ისევ რეკავს ტელეფონი. შემოდის დენი

დენი:

— ალო… დიახ, დიახ ეს ჩვენი მონერია…

— ვის? ააა, თქვენ ალბათ მაიკს გულისხმობთ

— დიახ, ის აქ...

— არა, მინდოდა მეთქვა - ის აქ აღარ ცხოვრობს

— დიახ, სამწუხაროდ...

— ალო, არ დაკიდოთ, ერთი წუთით მოითმონეთ, მისი სახლის ტელეფონს მოგცემთ: 995 593 537 670

— არაფრის. ღმერთმა დაგლოცოთ...

დენი ტელეფონს კიდებს. შემოდის მაიკი

მაიკი: ჩემი წასვლის დროა, დენ. მერი უკვე მანქანაში მელოდება

დენი: მაპატიე მაიკ რომ ვერ გაცილებ, არ მიყვარს გაცილება, თან დილიდან რაღაც კარგად ვერ ვარ...

მაიკი: ყველაფრისათვის დიდი მადლობა, დენ!

დენი: ღმერთმა დაგლოცოს, მაიკ!

მაიკი: გახსოვდეს დენ, აუცილებლად სტუმრად გელოდებით

დენი: შენც გელოდებით, როცა გენებოს ისევ გვესტუმრე

მაიკი: დიდი მადლობა, კიდევ ერთხელ !

დენი მაგიდიდან ოთხკუთხედ პაკეტს იღებს

დენი: ჰო მართლა, ეს შენ

მაიკი: ეს რა არის?

დენი: ისეთი არაფერი, მერე გახსენი...

დენი გადის. ახლოვდება თვითმფრინავების ხმები.

მაიკი მარტო რჩება ჩაბნელებული სცენის ცენტრში, ერთადერთი პროჟექტორით განათებული.

ჩანთას ძირს დებს. პაკეტს ხსნის, ფირფიტას ამოიღებს და წამოიძახებს:

” ჯიმი ჰენდრიქსი ? ვუდსტოკის ფესტივალზე ”

მერე ფირფიტას გადმოატრიალებს და კითხულობს:

" სიყვარულით - მერის !

სამუდამოდ შენი დენი.

1969 წლის 18 აგვისტო "

ჟღერს "ამომავალი მზის სახლი"

ფ ა რ დ ა

მ.მ. © 2022

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

დ ა ნ ი ე ლ დ ა მ ა რ ი ა

ო გ ა ტ ე ბ ს

მამუკა მაღულარია

1995 წ. დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი. პარალელურად სწავლობდა კინემატოგრაფიის მეორად ფაკულტეტზე. 1998 წ. იყო გრინელის (ა.შ.შ) ნატიფი ხელოვნების კოლეჯის სტაჟორი. არის ავტორი წიგნისა "მთელი ეს როკ-ნ-როლი" ("საბას" ნომინანტი 2011 წ.). საქართველოს რადიოთეატრში დადგმულია მისი პიესები: "პლასტმასის ყვავილები", "და სული აფრთხობს ჩვილის ნაზ ფიქრებს", "თამაში ედემის ბაღში", "ისევ მარწყვის მდელოები". არის რეჟისორი საკუთარი რედიოპიესებისა: "ელვის ეფექტი", "27", "ვაგიფი", "შეაჩერეთ ჰამლეტი", "მეშვიდე საყვირი", "წითელი სახლი", ”შეშლილი ალმასი”, ”72 საფეხური უკვდავებამდე”, ”ჯ.ჯ-ს ბარათი” (საუკეთესო ხუთეული ”გრან პრი ნოვას” ფესტივალზე, ბუქარესტი, 2019 წ.; ”პრიზ ევროპას” ფინალისტი, ბერლინი, 2020 წ.; ბრიტანული რადიოდრამის ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი, კენტი, 2021 წ.). ”ბოუი ციმბირში” ნომინანტი ”გრან პრი ნოვას” ფესტივალზე, ბუქარესტი, 2022 წ.; იყო ”პრიზ ევროპას” რადიოდრამის ფესტივალის ჟიურის წევრი, ბერლინი, 2020 წ.